ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N165/ბ

ქ. თბილისი 29 ნოემბერი 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის დავით სერგეენკოს სახით და მეორეს მხრივ, ი/მ სალომე დემეტრაძე შემდგომში „მიმწოდებელი”.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში, თარგმნის მომსახურების სახელმწიფო (CPV79530000) შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 90.12(ოთხმოცდაათი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარად.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1. თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა 7.51 გვერდი. ერთი გვერდის თარგმანის ღირებულება შეადგენს 12 ლარს - სულ 90.12ლარი.

4. მომსახურების გაწევის პირობები
4.1. ვადები:
4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.
4.2. ადგილი:
4.2.1. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4.

5. ანგარიშსწორების პირობები
5.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე (წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად) გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზედაც მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი(დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია:
7.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.1.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.1.3 მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მაღალი ხარისხით და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში.
7.2. “შემსყიდველი” ვალდებულია:
7.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2.2 უზრუნველყოს “მიმწოდებლის“ ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.3 დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1. “მიმწოდებელს” უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.1.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების გაწევა მისი კუთვნილი თანხის მიღებამდე.
8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.
8.2.2 აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი.
9. ფორს-მაჟორი
9.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.
10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.
13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. სამუშაოს შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.
14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ინსპექტირების პირობები
15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სპეციალისტი ეთერ ვარაზაშვილი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 20 იანვრამდე.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ს/კ – 211333957
თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144.
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ – TRESGE22 (220101222)
ა/ა – 200122900

დავით სოჯელავა
მინისტრი

„მიმწოდებელი“
ი/მ სალომე დემეტრაძე
ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ.22/4
ს/კ -01011039805
საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE51BG0000000498537600

ი/მ სალომე დემეტრაძე

ვიზა: ი. ბიბილაშვილი
ი. აბრამიშვილი
ი. ქიტიაშვილი
მ. ტყეშელაშვილი
შემსრულებელი: ე.ვარაზაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება _ ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი ____ _____ 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი ----------

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ გაწეულია მომსახურება ----------

2017 წლის ------ ---------- N ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: --------- (----------) ლარს.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

---------- თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა: --------- (----------) ლარი

ნაზარდი ჯამით შესრულებულია --------- (----------) ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ასანაზღაურებულია --------- (----------) ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი
წელი

„ 29 ” „ნოემბერი ” 2017

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ ი/მ სალომე დემეტრაძის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

დ. სერგეენკო

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ე. ვარაზაშვილი